პროექტი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო
განკარგულება №
---სექტემბერი 2023 წელი

ქალაქ თბილისში, ჩუღურეთის რაიონში, ნორიოს აღმართთან არსებული უსახელო ჩიხისთვის ნორიოს აღმართის II ჩიხის სახელის მინიჭების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის - "ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 68-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ" ქვეპუნქტის, „მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის №239 დადგენილებისა და „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 ივნისის №14-59 დადგენილების თანახმად, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. ჩუღურეთის რაიონში, ნორიოს აღმართთან არსებულ უსახელო ჩიხს მიენიჭოს ნორიოს აღმართის II ჩიხის სახელი , თანდართული რუკის თანახმად.

2. ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიამ, ოთხი თვის ვადაში, უზრუნველყოს ამ განკარგულების შესასრულებლად საჭირო ღონისძიებების განხორციელება.

3. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

საკრებულოს თავმჯდომარე **გიორგი ტყემალაძე**


01.16.03.043.041
01.16.03.043.012
01.16.03.043.029
01.16.03.043.052
01.16.03.043.014
01.16.03.043.026
01.16.03.043.008
01.16.03.043.050
01.16.03.043.067
01.16.03.043.058
01.16.03.043.059
01.16.03.043.063
01.16.04.001.078
01.16.04.001.140
01.00.393
01.00.287
01.01.031
NAPR

სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო

22 ვახტანგ გორგასლის ქუჩა
0114 თბილისი, საქართველო
+995 32 240 54 05
info@napr.gov.ge

19 / სექტემბერი / 2023 წ.

KA011707019771023

№ **203008**

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარეს ბატონ გიორგი ტყემალაძეს

ასლი: ედუარდ რზგოევს

ბატონო გიორგი,

გაცნობებთ, რომ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში (შემდგომში - „სააგენტო") მიმდინარეობს ადმინისტრაციული წარმოება №215594/17 განცხადებასთან დაკავშირებით.

მოგახსენებთ, რომ საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების გამოკვლევის პროცესში დადგინდა, რომ უძრავ ნივთებზე უფლებათა რეესტრში N 01.16.03.043.053 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული უძრავი ნივთის მიმდებარედ არსებული გზის მონაკვეთი და ასევე თანდართულ სიტუაციურ რუკაზე (იხილეთ დანართი) მითითებულ ტერიტორიაზე არსებული გზის მონაკვეთები არ არის სახელდებული კანონმდებლობით დადგენილი წესით, რაც რიგ შემთხვევაში მარეგისტრირებელი ორგანოსთვის წარმოადგენს დამაბრკოლებელ გარემოებას დანართზე მითითებულ ტერიტორიაზე არსებულ გეოგრაფიულ ობიექტებზე ნომრის მინიჭების პროცესში.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მოგმართავთ შუამდგომლობით შეაფასოთ სიტუაციურ რუკაზე მითითებული ტერიტორია და „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" საქართველოს ორგანული კანონის, „გეოგრაფიული ობიექტების სახელდების შესახებ" საქართველოს კანონისა და საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის № 239 დადგენილებით დამტკიცებული „მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის" თანახმად, განახორციელოთ სახელწოდების არმქონე გეოგრაფიული ობიექტების (გზის მონაკვეთების) სახელდება.

დანართი: 1 (ერთი) გვერდი.

პატივისცემით,

სამისამართო დეპარტამენტის უფროსი

ხელმოწერილია/
მტკიცებულია
ელექტრონულად

ნინო ბახია

საქართველოს იუსტიციის სამინისტრო

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო

სიტუაციური ნახაზი

N

განცხადების ნომერი: 215594/17

მომზადების თარიღი: 12/09/2023